

მომხმარებლის მოკლე სახელმძღვანელო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა იხსნება საძიებლით, რომელშიც მოცემულია სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა ასარჩევი ღილაკები და ძებნის პარამეტრები: საქმის ნომერი, დროის პერიოდი, საჩივრის სახე, საქმის განხილვის შედეგი, გადაწყვეტილების ტექსტში საძებნი სამი ველი. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებების ძებნა ასევე შესაძლებელია დავის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით. ძიების პარამეტრებიდან შესაძლებელია ნებისმიერი სასურველი კომბინაციის არჩევა.

გადაწყვეტილებების სრულ ტექსტში ძიება შესაძლებელია სამი ფრაზით, რომლებისთვისაც გამოიყენება სამი ველი. საძიებელი ფრაზები უნდა ჩაიწეროს ველებში ცალ-ცალკე და ამ შემთხვევაში მოიძებნება ის გადაწყვეტილებანი, რომელთა ტექსტებშიც ერთდროულად გვხვდება სამივე ფრაზა.

ძიების შედეგების გასაუმჯობესებლად შესაძლებელია თითოეულ ველში რამოდენიმე ფრაზის ჩაწერა. ამ შემთხვევაში ველში საძიებელი ფრაზები უნდა გამოვყოთ „@“ სიმბოლოთი. ველში ასეთი ფრაგმენტების რაოდენობა არ არის შეზღუდული. ძიების შედეგებში მოხვდება ის გადაწყვეტილებები, რომლის ტექსტებშიც მოიძებნება შევსებული ველის თუნდაც ერთი ასეთი ფრაზა.

მაგალითად, თუ შევავსებთ ორ ველს და თითოეულში ჩავწერთ 3-3 ფრაზას (და გამოვყოფთ „@“ სიმბოლოთი), ძიების შედეგებში მოხვდება ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავენ პირველი ველის თუნდაც ერთ ფრაზასა და მეორე ველის თუნდაც ერთ ფრაზას.

საძიებო პარამეტრების შეტანის შემდეგ ვაჭერთ ძებნის ღილაკს, რის შემდეგაც ეკრანზე გამოჩნდება მონაცემთა ბაზაში არსებული იმ გადაწყვეტილებების რეესტრი, რომელიც აკმაყოფილებს არჩეულ საძიებო პარამეტრებს. რეესტრის დათვალიერება შეგვიძლია ღილაკებით „შემდეგი გვერდი“ და „წინა გვერდი“. ღილაკი „ძებნის გაგრძელება“ გამოიყენება საძიებო პარამეტრების შემდგომი დაკონკრეტებისათვის.

იმისათვის, რომ დეტალურად დავათვალიეროთ კონკრეტული გადაწყვეტილება, უნდა ავირჩიოთ ლილაკი „ვრცლად“. ამის შემდეგ გაიხსნება გადაწყვეტილების ტექსტი. ლილაკებით „წინა“ და „შემდეგი“ შეგვიძლია დავათვალიეროთ მოძიებული გადაწყვეტილებების ტექსტები, ლილაკი „უკან“ კი გვაბრუნებს მოძიებულ გადაწყვეტილებათა რეესტრში, სადაც გვაქვს ძიების პარამეტრების დაზუსტების (ლილაკი „ძიების გაგრძელება“) ან საძიებელში დაბრუნების (ლილაკი „ახალი საძიებელი“) საშუალება.